

საქსტატის მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (შემდგომში – საქსტატი) არსებული საკონსულტაციო ორგანოს, საქსტატის მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში – საბჭო) შექმნის, საქმიანობის, წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავებისა და წარდგენის წესს, საბჭოს წევრობისათვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საბჭო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონით, საქსტატის დებულებით, ამ დებულებით, საერთაშორისოდ აღიარებული სტატისტიკის პრინციპებითა და პროფესიული ეთიკის პრინციპებით.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

1. საბჭო შედგება არანაკლებ 8 წევრისაგან, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარისაგან.

2. საბჭოს წევრებს, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი.

3. საბჭოს ხელმძღვანელობს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, თუ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საქსტატის საბჭო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

4. საბჭო ხმათა უმრავლესობით ირჩევს საბჭოს მდივანს, რომელიც ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს.

მუხლი 3. საბჭოს წევრობისთვის შესარჩევი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საბჭოს წევრად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც არის:

ა) სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე);

ბ) მეწარმეთა გაერთიანების (კავშირის და სხვ.) ხელმძღვანელი ან გაერთიანების მიერ შერჩეული;

გ) სტატისტიკის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, დემოგრაფიის, სოციალურ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი;

დ) ოფიციალური სტატისტიკის სფეროს განვითარებით დაინტერესებული არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ორგანიზაციის მიერ შერჩეული;

ე) სტატისტიკის მწარმოებელი ან ადმინისტრაციული წყაროს ფუნქციის მქონე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელი;

მუხლი 4. საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

- გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- დ) ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა;

2. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ფუნქციებია:

ა) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;

ბ) სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსათვის წინადადებების მომზადება;

დ) სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსათვის კონსულტაციის გაწევა ანდა წინადადებების წარდგენა;

ე) საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;

ზ) სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

თ) რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

ი) გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

კ) კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომის სახით. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ წელიწადში ერთხელ მაინც.

2. სხდომის მოწვევის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს ან საბჭოს არანაკლებ სამ წევრს.

3. სხდომის დანიშვნისა და მისი დღის წესრიგის შესახებ საბჭოს წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომამდე არა უგვიანეს 7 დღით ადრე.

4. საბჭო მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციებს და წინადადებებს ამზადებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა შეიძლება გაიმართოს ელექტრონული კავშირის ფორმით.

5. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს დანიშნული წევრების ნახევარი მაინც.

6. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მხარს დაუჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

8. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

9. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევრის ან საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომის ოქმი ეგზავნება საქსტატის საბჭოს.

10. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

11. მრჩეველთა საბჭოს უფლება არა აქვს მოითხოვოს საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებების შეცვლა ან გაუქმება.

მუხლი 7. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

დებულებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3. ცვლილებები მიღებულად ითვლება, თუ მათ მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/2. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.